# საიუბილეო ვარსკვლავი საბჭოთა საქართველო

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაფრთხილდი ცხელ-ლიმონათს

გაკოცქმის 48-ე წელი № 187 (13879) | პარასკევი, 11 აგვისტო, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.


## ნოგათი სამშობლოს

**ცხინვალი.** (საკ. კორ.). სახელოვნად შრომობს საიუბილეო დღეებში ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხნის კოლექტივი. ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალი განუწყვეტლივ სიახლის ძიებაშია. ახლახან მუშათა კოლექტივმა აითვისა და გამოუშვა მადნის დამმაგნიტებელი და განმმაგნიტებელი აპარატები. მათი პირველი პარტიები უკვე გამოვიდა და ნაწილი იტალიაში გაიგზავნა. ამით ქარხანას კიდევ ერთი საზღვარგარეთული მისამართი გაუჩნდა.

ამ დღეებში საწარმო მთელი დაძაბულობით შრომობს მექანიკური ცახვის ათვისებაზე. ამ ცახვს იყენებენ სამთამადნო მრეწველობაში, კერძოდ გამამდიდრებელ ფაბრიკებში.

ამჟამად ქარხანა ძირითადად საექსპორტო, ტროპიკულ ქვეყნებში გასაგზავნი მოწყობილობის დამზადებაზე მუშაობს.

**თელავი.** (საკ. კორ.). უკვე რამდენიმე წელია, რაც სამთოელებს შორის დაწესებული ჯილდო — გარდამავალი წითელი დროშა თელავის ფიქალ-მარმარილოს კომბინატის (დირექტორი თ. ბახსოლიანი, მთავარი ინჟინერი მ. გოლეთიანი) საკუთრებაა.

წლიური საწარმოო გეგმების შესრულებას თელაველები 7 ნოემბრისათვის გვპირდებიან, ამიტომ ყოველ დღეს ნაყოფიერად იყენებენ და უკვე ერთი თვეა აგვისტოს ანგარიშში მუშაობენ. აქ შვიდი თვის დავალება ექვს თვეში 101,3 პროცენტით გაანაღდეს. გეგმით გათვალისწინებული 25 ათასი ტონის ნაცვლად 27.213 ტონა მარმარილოს ნამცეცი გამოუშვეს. თბილისის მეტროს მშენებლებმა, სასტუმრო „ევერიამ", „ბიჭვინთამშენმა" და სხვა დამკვეთებმა 4.600 კვადრატული მეტრის მაგიერ 5.600 კვადრატული მეტრი მარმარილოს დაფები მიიღეს. თვითღირებულების შემცირების გზით ზეგეგმითმა მოგებამ 12.700 მანეთს მიაღწია.

ფიქალ-მარმარილოს კომბინატის კოლექტივი საიუბილეოდ სამშობლოს 20.000 მანეთის ზეგეგმით მოგებას ჰპირდება.

## გაღაწყვეტილების ავტორიტეტი

ბევრი საქმე და საზრუნავი აქვთ პირველადა პარტიულ ორგანიზაციებს, ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს. კომუნისტები, ყველა მშრომელი პარტიული ორგანიზაციებისაგან, ხელმძღვანელი პარტიული ორგანოებისაგან მოითხოვენ სიფაქიზეს სიტყვას ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა საერთაშორისო საკითხზე. და ეს საფუძვლიანი სიტყვა, უპირველეს ყოვლისა, არის მათი გადაწყვეტილება.

პარტიული გადაწყვეტილება კოლექტიური გონებისა და კოლექტიური დამოცდილების ნაყოფია. მაგრამ ცნობილია, რომ თვით ყველაზე დასაბუთებული გეგმები და ვალდებულებანი შეიძლება ქაღალდზე დარჩეს, თუ მიღებულ გადაწყვეტილებას არ მოჰყვა ორგანიზატორული მუშაობა, შესრულების შემოწმება.

შესრულების შემოწმებასა და კონტროლს პარტია ერთ-ერთ პირველ ადგილს ანიჭებს ორგანიზატორულ მუშაობაში. შევამოწმოთ ადამიანები, შევამოწმოთ საქმის ფაქტიური შესრულება — ასეთია მნიშვნელოვანი ლენინური მოთხოვნა.

კარგად დაყენებული შესრულების შემოწმება უზრუნველყოფს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა დროულად განხორციელებას, ზრდის კადრებს მაღალი პრინციპულობისა და საქმიანობის სულისკვეთებით.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით კი პარტიის XXIII ყრილობის შემდეგ, მნიშვნელოვნად გააძლიერეს კონტროლი მიღებული გადაწყვეტილებების, კომუნისტთა კრებებზე შენიშვნებისა და წინადადებების შესრულებისადმი. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ბოლო პარტიული კონფერენციის წელიწადნახევარი გავიდა, საქალაქო კომიტეტი თავის ყოველდღიურ მოღვაწეობაში ხშირად უბრუნდება დელეგატთა გამოსვლებსა და კონფერენციის გადაწყვეტილებებს, ამოწმებს მათში დასახული პუნქტების შესრულებას. გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში მონაწილეობენ არა მარტო შტატის მუშაკები, არამედ საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედ განყოფილებათა და კომისიათა წევრები, უშტატო ინსტრუქტორები. ადგილებზე შექმნილია და ნაყოფიერად მუშაობს ათასამდე კომისია ადმინისტრაციის მოღვაწეობისადმი კონტროლის უფლების განსახორციელებლად. ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებენ სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები, რომლებიც თვითონ შემადგენლობაში 80 ათასამდე კაცს ითვლიანებენ. კარგი შედეგი მოაქვს პირველადი პარტორგანიზაციების, სამეურნეო ხელმძღვანელების, ცალკეული კომუნისტების ანგარიშების მოსმენას. ეს ხელს უწყობს კადრების პასუხისმგებლობის აპალლებას ადგილებზე საქმის მდგომარეობისათვის, აძლიერებს პარტორგანიზაციების გავლენას, ზრდის მათს ავტორიტეტს.

ამ დღეებიდან ხნის წინათ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა თავის პლენუმზე სპეციალურად ისმენდა მიღებული გადაწყვეტილებების, კომუნისტთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების შესრულების კონტროლის მდგომარეობაზე. პლენუმმა განაზოგადა ამ საქმეში შეძენილი გამოცდილება, ამავე დროს ხაზი გაუსვა იმ ნაკლოვანებებს, რომლებსაც ადგილი აქვს ქალაქის მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციების მოღვაწეობაში. კერძოდ, ზოგიერთი პარტიული კოლექტივი ჯერ კიდევ სათანადოდ არ ზრუნავს კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლებაზე სახელმწიფო გეგმებისა და ვალდებულებათა შესრულებისათვის. ისინი ღრმად არ სწვდებიან წარმოებას, ხუსტად იბრძვიან მიღებულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. პარტიის რაიკომები და მათი აპარატის მუშაკებიც ყოველთვის სათანადო გულისხმიერებას როდი იჩენენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების საკითხებისადმი.

ზოგიერთი პარტორგანიზაცია ეწევა სხვის მაგიერობას, სამეურნეო ხელმძღვანელთა მეურვეობას, მხედველობიდან უშვებს მთავარს — მასებში ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას. იშვიათი არ არის ისეთი ფაქტებიც, როცა პარტიული კრებები, რომლებიც კომუნისტთა აღზრდის ნამდვილ სკოლას უნდა წარმოადგენდნენ, ეწყობა შემთხვევიდან შემთხვევამდე და ისიც კომუნისტთა არასაკმაო აქტივობით. მაგალითად, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ჟუთაისის სამშენებლო-სარემონტო უბნის პირველადა პარტორგანიზაციაში მიმდინარე წლის მაისსა და ივლისში ვერ შეძლეს კომუნისტთა კრების მოწვევა. სამოქმედო უბნის სპეციფიკა ამ პარტორგანიზაციის კომუნისტებს უკარნახებს პარტიულ კრებებზე პერიოდულად განიხილონ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოთა გეგმების შესრულების საკითხი. სამწუხაროდ, ამ განხილვას ყოველთვის ზერელე, არაფრისმთქმელი გადაწყვეტილებები მოსდევს. უფრო მეტიც. აქ არ აწესებენ კონტროლს მიღებული დადგენილების შესრულებაზე.

შესრულების შემოწმების მდგომარეობა, უწინარეს ყოვლისა, ფასდება თვითეულ სამრეწველო საწარმოში, მშენებლობაზე, დაწესებულებაში, ტრანსპორტზე, კოლმეურნეობაში და სხვაგან საქმეთა ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით. ამიტომ პირველადი პარტორგანიზაციების კონტროლის ფუნქციებს ახლა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ცხოვრება პარტიული ორგანიზაციების წინაშე აყენებს ბევრ საკითხს, რომლებიც სასწრაფოდ გადაწყვეტას მოითხოვენ. აუცილებელი არ არის ყველა მათგანის საქალაქო კომიტეტის, რაიკომის, პარტკომის, პარტბიუროს განსახილველად გატანა. ზოგიერთი საკითხი ადგილზევე ოპერატიულად უნდა გადაწყდეს. მაგრამ აუცილებელია სათანადო გადაწყვეტილებანი მნიშვნელოვან და რთულ პრობლემებზე. ეს გადაწყვეტილებები, თუ კი ისინი კარგად არის მოფიქრებული და მომზადებული, რაზომავს ადამიანებს, მიუჩენს მათ თავიანთ ადგილს საერთო საქმეში, სახავს მოქმედების ზუსტ გეგმას, იძლევა სამუშაოთა მიმდინარეობაზე მკაცრი კონტროლის დაწესების საშუალებას.

სამწუხაროდ, ჩვენთან ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი არ არის ისეთი პრაქტიკა, როცა გადაწყვეტილებებს ადგენენ მოუმზადებლად, კაბინეტური მეთოდით. ამიტომ მათში უხვად არის გაბნეული ტრაფარეტული გამოთქმები. ასეთ დადგენილებას კი, რომელიც არავის არაფერს არ ავალებს და არავის არაფერს არ სთხოვს, სარგებლობის ნაცვლად ზიანი მოაქვს.

**პარტიული გადაწყვეტილება — ეს პარტიის დირექტივაა, კომუნისტთა განაწესია და იგი აუცილებლად უნდა შესრულდეს.** ამაზეა დაფუძნებული კომუნისტების, პარტიული ორგანოების ავტორიტეტი.

პარტკომების, პარტბიუროების, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების მოვალეობაა უზრუნველყონ მუდმივი კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, დროულად განსაზღვრონ, თუ კიდევ რის გაკეთებაა საჭირო, ამამაღლონ მომთხოვნელობა შემსრულებლებისადმი, მკაცრად, პერსონალური წესით მოსთხოვონ პასუხი საქმის ჩამშლელებს და დასჯონ ისინი.

გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის წარმატებით განხორციელება შეუძლებელია მარტო შტატის მუშაკთა ძალებით. საჭიროა ამ საქმეში ფართოდ მივიზიდოთ პარტიული აქტივი.

შესრულების შემოწმება და კონტროლი განუყრელად არის დაკავშირებული კადრების შერჩევის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან. შემოწმების შედეგებმა ხელი უნდა შეუწყოს ახალი ადამიანების წამოყენებას, რომლებსაც უნარი შესწევთ აამოქმედონ წარმოების ზრდის რეზერვები.

დიდი ოქტომბრის სახელოვან 50 წლისთავამდე სამ თვეზე ნაკლები დრო დარჩა. ახლა საბჭოთა ადამიანების მთელი ფიქრი და პრაქტიკული საქმეები მიმართულია იქითკენ, რომ ახალი შრომითი საჩუქრები მიუძღვნან თავიანთ ნახევარსაუკუნოვან საშობლოს.

და რაც უფრო უკეთ დავაყენებთ შესრულების შემოწმებასა და კონტროლს, მით უფრო წარმატებით გავართმევთ თავს ჩვენს წინაშე მდგომ დიდ ამოცანებს.

## გაიმარჯვეს რესპუბლიკურ შეჯიბრებაში

**საქართველოს** სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნათობპროდუქტების შომარაგებისა და გასაღების სამმართველოს კოლეგიამ და საქართველოს ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს ნნორის ნავთობბაზის კოლექტივი და მიანიჭეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, აგრეთვე პირველი ფულადი პრემია.

მეორე ფულადი პრემია დაიმსახურა თელავის ნავთობბაზის კოლექტივმა, მესამე — გორის ნავთობბაზის კოლექტივმა.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების ძუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს ქუთაისის № 4 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის კოლექტივი, რომელსაც მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მეორე ფულადი პრემიები დაიმსახურეს თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხნისა და თბილისის № 17 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის კოლექტივებმა.

მესამე ფულადი პრემიები მიენიჭათ № 2660 ავტოკოლონისა და გურჯაანის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის კოლექტივებს. (საქდესი).

## მძიმეწონიანი ეშელონები

**ჟუთაისი.** (საკ. კორ.). საოკომოტივო დეპოს ლოკომოტივების კოლექტივი, რომელიც ლენინიანკაცენ და სმტრედიელ თანამოსაქმეებს ეჯიბრება, შესანიშნავ წარმატებებს აღწევს საიუბილეო წელს.

ქუთაისელმა რკინიგზელებმა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით გაიმარჯვეს. ლოკომოტივების გარბენის საერთო გეგმა შესრულეს 115,7 პროცენტით, ტვირთბრუნვისა — 109,4 პროცენტით, ამასთან „ავადმყოფი" ლოკომოტივების რიცხვი ნორმასთან შედარებით 2,2 პროცენტით შეამცირეს, ხოლო ტექნიკური სიჩქარე 1 საათით გაადიდეს და 7.500 მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს.

განვლილ პერიოდში რკინიგზელებმა 1.058 მძიმეწონიანი ეშელონი გადაიყვანეს და გეგმის გადამეტებით გადაბიდეს ათასობით ტონა სახალხოსამეურნეო ტვირთი. ელმავლის მემანქანეებმა ოთ. მელაძემ, აკ. მახარაძემ, ი. გოგოხიამ და ა. სანიკიძემ ქვანახშირით დატვირთული სამოცსამოცზე მეტი მძიმეწონიანი ეშელონი გადაიყვანეს და ათასობით ტონა ზეგეგმითი ტვირთი გადაზიდეს.

## მიწისმწოვები — უცხოეთში

შრომის მაღალი ტემპებია აღებული ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებლო ქარხანაში, რომელიც ოქრის მედლით არის დაჯილდოებული. პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის შვიდი თვის გეგმა აქ გადაჭარბებით შესრულეს. ნაცვლად 1.911 ათასი მანეთისა, გამოშვებულია 1.980 ათასი მანეთის პროდუქცია.

აქ დამზადებულ სხვადასხვა სიმძლავრის მიწისმწოვთა გარკვეული ნაწილი საექსპორტოა. ამას წინათ აქედან თითო მიწისმწოვი მანქანა გაიგზავნა შვეიცარიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მოკლე დროში კიდევ ორი მიწისმწოვი მანქანა მზად იქნება საექსპორტოდ. მათი მისამართებია — ვიეტნამი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

დიდი და მცირე წარმადობის რამდენიმე მიწისმწოვი მანქანა გაიგზავნა უკრაინაში, სომხეთში, შუა აზიაში, კუბიშევისა და გორკის ოლქებში.

ბ. კოპაზიძე.

## გეგმაც, ხარისხიც, ასორტიმენტიც

**დიდი** ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ საწარმოო წარმატებებს აღწევს მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის კოლექტივი, რომელსაც ორმოცი წელი შეესრულდა.

მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვით, შრომის დისციპლინის განმტკიცებითა და წარმოების კულტურის ამაღლებით, წარმოების რეზერვების გამოყენებით და შრომის კომუნისტური მეთოდების დანერგვით ჩვენი ფაბრიკის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა შვიდი თვის დავალება. ლოკომოტივების გარბენის საერთო გეგმა შესრულეს 115,7 პროცენტით, ტვირთბრუნვისა — 109,4 პროცენტით, ამასთან „ავადმყოფი" ლოკომოტივების რიცხვი ნორმასთან შედარებით 2,2 პროცენტით შეამცირეს, ხოლო ტექნიკური სიჩქარე 1 საათით გაადიდეს

**შეუფერხებლად** მუშაობს ბათუმის რაიონის სალიბაურის ჩაის ფაბრიკა. აქ ყოველდღიურად ათეულ ტონობით ჩაის ნედლეული მოაქვთ კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან. ფაბრიკა სეზონის პირველი დღეებიდანვე შეუფერხებლად მუშაობს. წელს აქ უნდა გადამუშავონ 1.876 ტონა ნედლეული. ფაბრიკის კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ ახალი წარმატებებით შეხვდეს დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს.

ეს სურათი გადაღებულია ფაბრიკის საოლეო საამქროში მუშაობის დროს.

ფოტო ნ. ანასტასიევისა. (საქდესის ფოტოკორონიკა).

## თამგაქოს ალეგა

**აგვისტო** და სექტემბერი გადამწყვეტია თამბაქოს შეტეხის გეგმის შესრულებაში. უკანასკნელ დღეებში უფრო ჩაძლიერდა თამბაქოს შეტეხის სამუშაოები. სულ რესპუბლიკაში შეტეხილია 40.016 ათასი ზონარმეტრზე მეტი თამბაქო. წლიური გეგმით კი შესატეხია 180.600 ათასი ზონარმეტრი. ყველაზე მეტი უნდა შეტეხონ აშხაზეთის მეთამბაქოეებმა. გეგმით გათვალისწინებული 85 მილიონი ზონარმეტრიდან შეტეხილია 17.902 ათასი ზონარმეტრი.

ბოლნისის რაიონში ამ სამუშაოს გეგმა შესრულებულია 31,8 პროცენტით, მარნეულის რაიონში — 22,5 პროცენტით, ლაგოდეხის რაიონში კი 19,7 პროცენტით. თამბაქოს მოსავლის აღება გაჩაღებულია აჭარაში. შეტეხილია 5.940 ათასი ზონარმეტრი თამბაქო, ანუ გეგმის 27 პროცენტი.

## ყუათიანი საკვები — პირუტყვს

**წითელწყაროს** რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ნ. ყოჩიაშვილი.) სეროიზული ყურადღება ექცევა პირუტყვისათვის უხეშში, წვნიანი საკვების დამზადებას.

დამზადებულია 558 ტონა თივა ნაცვლად 550 ტონისა, ხოლო 2.800 ტონა ნამჯის ნაცვლად 2950 ტონა.

ამჟამად კოლმეურნეობაში ენერგიული მუშაობა მიმდინარეობს სიმინდის სილოსის დასამზადებლად. წესრიგშია სილოსის ჩასადები ორმოები. სულ უნდა დამზადდეს 6.000 ტონა სილოსი. უკვე ჩადებულია 1.210 ტონაზე მეტი. დათესილი აქვთ 330 ჰექტარი სასილოსე სიმინდი. გეგმით გათვალისწინებული 400 ჰექტარის ნაცვლად ნაწვერალზე დათესა 697 ჰექტარი სიმინდი.

შ. ნატროშვილი.

**ლიდი** მუშაობა მიმდინარეობს მარნეულის რაიონის ყულარის სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობაში. უკვე მთავრდება ვენახების მეხუთე-მეექვსე შეწამვლა ბორდოს სითხით. მეურნეობის კოლექტივს ამ საიუბილეო წელს ვალდებულება აქვს ნაკისრი საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 70 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 ცენტნერისა.

**სურათზე:** საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი ბ. მინდიაშვილი ამოწმებს ვენახის შეწამვლის ხარისხს.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოკორონიკა).

## მსხელობა გარანტირებულ ანაზღაურებაზე

**თათბირი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხზე**

**ქასპი.** („კომუნისტის" კორ.). საქართველოს კპ ქასპის რაიკომმა მოაწყო სოფლის მეურნეობის მუშაკთა რაიონული თათბირი, რომელიც გახსნა საქართველოს კპ ქასპის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ქერქაძემ.

თათბირმა განიხილა საკითხი — „რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობისა და კოლმეურნეობებში შრომის გარანტირებული ანაზღაურების მდგომარეობის შესახებ". ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი შ. ხოროზაშვილი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: სამთავისის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ბუდაღაშვილმა, კასპის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. კენჭუაშვილმა, ხოვლეს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. მიქუტაშვილმა, რაიონის წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოს უფროსმა შ. გუმბერიძემ, ყარაღაჯის კოლმეურნეობის ბუხჰალტერმა ვ. ქვრივიშვილმა, ქვემო გომის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ვარდიშვილმა, კავთისხევის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ი. საათაშვილმა.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ჭანუყვაძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. გელდიაშვილმა, სოფლის მეურნეობის მინისტრმა მ. ღვინჯილიამ.

## საოქტომგრო კითხვა

**სოხუმი.** (საქდესის კორ.). სოხუმში დაიწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საოქტომბრო კითხვა.

10 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში მოხსენება თემაზე „ოქტომბერი და აფხაზეთი" გააკეთა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ო. კობახიამ.

აფხაზეთში მომხდარი რევოლუციური ამბების შესახებ დამსწრეთ მოგონებანი გაუზიარეს ძველმა ბოლშევიკებმა ი. მატარაძემ, ფ. თორიამ, მ. მიკამბამ.

## საქდესის ცნობა

### მიურინავს „კოსმოსი-172"

1967 წლის 9 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის ‘ მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-172".

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა, განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკლესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

## მაღალი ჯილდო

**საავიაციო** ტექნიკის ჩინებული ათვისებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად 1967 წლის 9 ივლისს მოწყობილ საავიაციო პარადზე მაღალი ოსტატობის ჩვენებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულებით სსრ კავშირის მედლებითა და ორდენებით დაჯილდოვა 965 მფრინავი, შტურმანი, პარაშუტისტი, მედესანტე, ინჟინერი, ტექნიკოსი და შეიარაღებული ძალების, სამოქალაქო ავიაციის, საავიაციო მრეწველობისა და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელი ნებაყოფლობითი საზოგადოების სხვა სპეციალისტი.

## დიდი გამოფენა

**მოსკოვი.** 9 აგვისტოს მანეჟში გაიხსნა გამოფენა „მოსკოველი მხატვრები ოქტომბრის 50 წლისთავს". ორი წლის მანძილზე მუშაობდნენ მოსკოველი ფერმწერები, მოქანდაკეები, გრაფიკოსები, მონუმენტალისტები, თეატრალური და კინოფერწერის ოსტატები ოქტომბრის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესადმი მიძღვნილ ნაწარმოებთა შესაქმნელად.

1.175 მოსკოველი ხელოვანის 2.200 ნამუშევარი მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც სხვანაოფენ კომიტეტმა შეარჩია. ასობით სხვა ნამუშევარს მალე გამოიტანენ გამოფენის ფილიალებში.

(საკდესი).

## ვგმობთ საბერძნეთის ფაშიზმს

**ძნელი** დრო დაუდგათ ბერძენ პატრიოტებს. სამხედრო ფაშისტური ხუნტა, რომელმაც საბერძნეთში ხელთ იგდო ძალაუფლება ვადატრიალების შედეგად, ტერორსა და ძალადობას მიმართავს, აპატიმრებს დემოკრატებს.

საბჭოთა ადამიანები პროტესტს აცხადებენ საბერძნეთის ფაშისტური ხროვის ამ ანტიდემოკრატიული და ანტიახალხური ოოქმედების წინააღმდეგ და მოითხოვენ, რომ აღადგინონ ბერძენი ხალხის კონსტიტუციური უფლებანი, დაუბრუნონ დემოკრატიული თავისუფლებანი. საბერძნეთის სამხედრო-ფაშისტური ხუნტის მოქმედება გულისწყრომით დაგმეს მოსკოვის მე-7 ტროლეიბუსის პარკის მუშებმა და მოსამსახურეებმა, რომლებმაც 9 აგვისტოს გამართეს საპროტესტო მიტინგი.

(საკდესი).

## სოლიდარობა აფრიკელ ქალებთან

**9 აგვისტო** სამხრეთ აფრიკის ქალების ბრძოლასთან სოლიდარობის დღეა.

ამ დღეს თერთმეტი წლის წინათ, 1956 წლის 9 აგვისტოს ოცი ათასი ქალი ხელში აყვანილი ბავშვებით მივიდა საძულველი რასისტული მთავრობის პრეტორიის რეზიდენციასთან. ქალები დევნას არ შეუშინდნენ და მრისხანე პროტესტი გამოთქვეს დისკრიმინაციის, დამცირების წინააღმდეგ.

ჩვენ, საბჭოთა კავშირის ქალები, მეზობარე სიყვარულით მივესალმებით და საბრძოლო მხარდაჭერას ვუცხადებთ ჩვენს სამხრეთაფრიკელ მეგობარ ქალებს, თქვა მოსკოვში გამართულ სოლიდარობის მიტინგზე საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის წევრმა, მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტროპოლიტენის უფროსის მოადგილემ ხ. პ. ტროიცკაიამ.

მიტინგის მონაწილეები მხურვალედ მიესალმნენ იმ ხალხის წარმომადგენლებს, რომელიც თავგანწირვით იბრძვის ფორსტერის რასისტული მთავრობის წინააღმდეგ.

სამხრეთ აფრიკის ქალთა ორგანიზაციებს გაუგზავნეს სოლიდარობის დეპეშა.

(საკდესის კორ.).



## ეწყდეს საშიში ავანტიურა კვიპროსის წინააღმდეგ

**10 აგვისტოს** კვიპროსის რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს ეწყო საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის დელეგაცია, რომელმაც მილოიზოთი საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეთა სახელით სოლიდარობა გამოუცხადა კვიპროსის ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. დელეგაციამ კვიპროსის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს სსრ კავშირში ლეფოს პ. გიოგიადესს გადასცა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის განცხადება, რომელშიც გადაჭრით გმობს გეგმებს, რომლებსაც ამუშავებენ დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის იმპერიალისტური და რეაქციული წრეები. ეს გეგმები მიმართულია კვიპროსის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ.

კვიპროსის რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ხელყოფა, ნათქვამია განცხადებაში, კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ იმპერიალისტები ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფოების წინააღმდეგ და ამასთან დაკავშირებით მშვიდობის ყველა მომხრე შეშფოთებას გამოთქვამს მშვიდობის ბედის გამო და არ შეუძლია არ აღიმაღლოს ხმა იმ პროვოკაციების წინააღმდეგ, რაც მსოფლიოს ამ რაიონში მზადდება.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტი აცხადებს, რომ სრულ სოლიდარობას უცხადებს კვიპროსელი ხალხის ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისათვის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისათვის, გადაჭრით მოითხოვს შეწყდეს დანაშაულებრივი საშიში ავანტიურა კვიპროსის დამოუკიდებელი რესპუბლიკის წინააღმდეგ.

კვიპროსის ხალხს სოლიდარობას უცხადებენ საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს მთელი მშვიდობისმოყვარე ხალხი, ხაზგასმულია განცხადებაში.

## დაპატიმრებანი პორტუგალიაში

**პარიზი,** 10 აგვისტო. (საკდესი). პორტუგალიის პოლიციამ პორტუგალიის ბევრ ქალაქში იფლისში დაიპატიმრა მრავალი დემოკრატი, იუწყება გაზეთი „ლუმანიტე". დაპატიმრებულთა შორის ბევრი სტუდენტია, ბევრ შემთხვევაში დაპატიმრებულებს აწამებდნენ.

დაპატიმრებანი წარმოიბდა ისეთ ქალაქებში, როგორიცაა ალოს-ვედროსი, მატეიუ, ბარეირუ, ლო

# სამოქალაქო ომის რელიკვია

□ ლენინგრადის სამხედრო ისტორიული მუზეუმის უნიკალური ექსპონატი

□ ვინ იყო მხატვარი ლ. ბრეგაძე?

სამოქალაქო ომის პერიოდის წითელი არმიის პოლკების საბრძოლო დროშები ძალიან ცოტაა რუსეთის არმიისა და საბჭოთა არმიის საბრძოლო რელიკვიების უდიდესი საცავის — ლენინგრადის სამხედრო-ისტორიული მუზეუმის კოლექციაში. ყველა ეს დროშა განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს. მათთან დაკავშირებულია მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური წითელი არმიის შენაერთების ლეგენდარული გმირობის ამბები.

მათი გარეგნული შესახედაობა და გაფორმება არ შეესაბამება საბრძოლო დროშის თანამედროვე ცნებას. მათი ფორმა საეკლესიო დროშებს — ბავრაყებს უფრო მოგვაგონებს, მაგრამ მათს ტილოებზე არსებული ნახატებისა და ტექსტების შინაარსი არასოდეს არ ძველდება. ისინი მოგვითხრობენ ახალგაზრდა წითელი არმიის ნაწილების გმირობაზე.

ჩვენი მუზეუმის კოლექციაში ამ პერიოდის დროშებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს № 9/6436 დროშას, რომელიც 189 მსროლელი პოლკისთვის ჩაუბარებიათ ხვალინსკის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს და პარტიის რაიონულ კომიტეტს (ოფიციალური ჩანს ციფრი „195“. იგი უფრო გვიან არის დაწერილი. „195“-ის ქვეშ ნაწილობრივ ჩანს (ციფრები „8“ და „9“ — 189) ასეთი დროშა ჩვენს კრებულში არც ერთი არ არის. იგი წითელი მაუდისაა და სამ მხარეს შემოვლებული აქვს ფოჩი. გამოსახულება მუშისა, რომელსაც მარცხენა ხელში დროშა უჭირავს და მახვილით თავებს ჭრეთს ორთავიან ენრწყვს — მშრომელი ხალხის ჩაგვრისა და ცარიზმის სიმბოლოს. შესრულებულია მხატვარ ლ. ბრეგაძის მიერ, რასაც მოწმობს წარწერა მარჯვენა ქვემო კუთხეში: „ნახ. ლ. ბრეგაძისა 19...“

189-ე პოლკი, რომელიც შედიოდა პირმის 21-ე მსროლელი დივიზიის (ყოფილი ურალის დივიზიის) შემადგენლობაში, მონაწილეობას იღებდა ინტერვენტების და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ბრძოლებში სამოქალაქო ომის ბევრ ფრონტზე. 1919 წელს იგი მონაწილეობდა კოლჩაკის წინააღმდეგ ბრძოლებში აღმოსავლეთის ფრონტზე. 1919 წლის შემოდგომაზე ანდგურებდა იუდენიჩის თეთრგვარდიელებს პეტროგრადთან. 1920 წელს იბრძოდა თეთრპოლონელების წინააღმდეგ დასავლეთის ფრონტზე. პოლკი ორჯერ დაჯილდოდეს: 1919 წლის ოქტომბერში პავლოვსკთან და ნარვასთან ბრძოლებში მამაცობის გამოჩენისათვის — საპატიო რევოლუციური წითელი დროშით და 1920 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინის ჯარების განადგურებაში მონაწილეობისათვის — წითელი დროშის ორდენით.

1921 წლის იანვარში პოლკი დივიზიის სხვა ნაწილებთან ერთად გაიგზავნა ციმბირში ბანდების ლიკვიდაციად ალტაის მხარეში.

იმ მიზნით, რომ გამოგვერკვია მხატვარ ლ. ბრეგაძის შემდგომი ბედი, აგრეთვე ის, თუ როდის და სად გადასცეს ხვალინსკის აღმასკომმა და პარტიის რაიკომმა დროშა 189-ე მსროლელ პოლკს. ჩვენი თხოვნით 1966 წელს გამოქვეყნდა წერილი და დროშის ფოტოსურათი სკკპ სარატოვის საოლქო კომიტეტის და სარატოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანოში — გაზეთ „კომუნისტში“. მალე მუზეუმმა მიიღო გაზეთის პასუხი და პენსიონერი ქალის ნ. ა. კონჩილოვიჩის წერილის პირი (ცოტა უფრო გვიან პირადად მისგანვე მივიღეთ ჩვენთვის გამოგზავნილი წერილი). მან გვაცნობა, რომ დროშაზე სურათი შეუსრულებია მხატვარ ლ. ბრეგაძეს, ხოლო ტექსტი დაუწერია მოყვარულ მხატვარს

ვ. პ. ოორინს. რაც შეეხება ლ. ბრეგაძეს, ნ. კონჩილოვიჩი გვწერდა, რომ არ იცის, „სად წავიდა იგი და სად ცხოვრობს ახლა, ან ცოცხალია თუ არა“.

ძვირფასო მკითხველებო! თქვენ გაეცანით უნიკალურ დროშას, სამოქალაქო ომის რელიკვიას. ჩვენ მოვახერხეთ გამოგვერკვია მის შესახებ ყველაფერი, გარდა დროშის შექმნის და გაფორმების ერთ-ერთი მთავარი მონაწილის — მხატვარ ლ. ბრეგაძის თუ ბრეგვაძის ბიოგრაფიისა.

ჩვენ გვაინტერესებს ყოველი დეტალი ლ. ბრეგაძის (ბრეგვაძის) ბიოგრაფიიდან, რაც დაგვეხმარება გამოვარკვიოთ მხატვრის პიროვნება და შემდგომი ბედი.

წერილები გამოგვიგზავნეთ შემდეგი მისამართით: ქ. ლენინგრადი, პ-40. სამხედრო-ისტორიული მუზეუმი.

**ი. ნაცვალაძე,**

სამხედრო-ისტორიული მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი.

# საიუბილეო დღიური

## „ფოთი გუშინ, დღეს და ხვალ“

ფოთი. (საკ. კორ.). ამ თემაზე გაიმართა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელიც მოაწყეს საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტმა და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობამ.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. გეგენავამ. სესიის მონაწილეთა წინაშე საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი შ. ნოხაძე, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი ა. გაბუნია, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ნ. დანელია, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატები თ. მიქელაძე, ო. ღლონტი-ფანიძე, აგრეთვე ს. გუბელაძე, გ. დარჯანია, და გ. ტურძელაძე.

## პოლიტიკური სწავლების ქარა

ჯუთაისი. (საკ. კორ.). საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტმა თავისი არსებობის მანძილზე ხუთი ათასამდე კურსდამთავრებული გამოუშვა.

წელს უნივერსიტეტი დაამთავრა 55 კაცმა.

საიუბილეო ახალი სასწავლო წლიდან უნივერსიტეტის ზოგად, პარტიულ-სამეურნეო აქტივისა და პროპაგანდისტულ ფაკულტეტებზე 350 კაცი ისწავლის.

## შეხვედრა ძველ გოლშემიკებთან

თბილისის შ. რუსთაველის სახელობის ბიბლიოთეკის მკითხველებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ძველი გვარდიის კომუნისტებს: თომა ანთაძეს, ეგნენი თევზაძესა და დიდი სამამულო ომის ვეტერანს ვ. მკედლიძეს.

შეხვედრაზე ძველი ბოლშევიკების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებები გააკეთეს ვასილ ჯინორიამ და გივი ბობოხიძემ.

ლექსები წაიკითხეს და სიტყვებით გამოვიდნენ მოსწავლეები ვიოლეტა ბარაბაძე, ნელი გიორგობაია, გიული ლოკოშვილი, ნათელა მაისურაძე, იზოლდა ღვინიანიძე, რუსუდან ბარქაია.

**ი. მჟედლიშვილი.**



# მეტი და იაფი

## წარმოება და ადამიანები

ყოველი დღე გვაახლოებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის იუბილეს. ამ თარიღის ჯუბილეოდ ყველგან გაჩაღებულია შემოქმედებითი შრომა. სახელოვანი ადამიანები ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. არც საგარეჯოს მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურის კოლექტივი ჩამორჩება მოწინავეებს. ჩვენი კოლექტივი პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად ძალი მონდომებით და ენთუზიაზმით იბრძვის იმისათვის, რომ ღირსეული წვლილი შეიტანოს ქვეყნის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

საგარეჯოს საინკუბატორო სადგური წლების მანძილზე ნაკისრ ვალდებულებებს ყოველთვის ასრულებს, მეფრინველეობის განვითარების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მრავალგზის მონაწილე იყო, მიღებული აქვს ძრავალი დიპლომი, medlebi, ფასიანი საჩუქრები და გარდამავალი დროშა.

მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება არ შეიძლება. ფრინველის ძმრავლების სწორი ორგანიზაციით, ჯიშობრივი გაუმჯობესებით და მტკიცე საკვები ბაზის შექმნის გზით მოპოვებულია საამაყო მაჩვენებელი. გასულ წელთან შედარებით ფრინველის რაოდენობა გაზრდილი 2.000 ფრთით, კვერცხის წარმოება — 927 ათასი ცალით, ხორცისა კი 43,4 ცენტნერით.

საგარეჯოს კოლექტივი ყველაზე დიდ ყურადღებას უთმობს შრომის ნაყოფიერების გადიდებას და გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. ამოცანა ის არის, რომ რაც შეიძლება უფრო მეტად შევამციროთ პროდუქციაზე გაწეული შრომითი და მატერიალური დანახარჯები, შევქმნათ რაც შეიძლება მეტი პროდუქცია. აი ამ შეგნებით მუშაობს დღეს ჩვენი საინკუბატორო სადგური.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ზრუნვას კადრების მომზადებით ვიწყებთ. ჩვენი მეფრინველეები არა მარტო ენციკლოპედიურ საქმიანობას ეწევიან, ეს კი ფრინველისთვის ბუნებრივ საჩრდილობელს ქმნის. აღნიშნული ბინები მთლიანად არის დატვირთული დადგენილი ნორმების მიხედვით. სათანადო სიმაღლეზეა ზოოტექნიკური მუშაობა, რომელსაც ხელმძღვანელობს მთავარი ზოოტექნიკოსი ხ. მაღრაძე.

ფრინველის სრულფასოვანი საკვებით უზრუნველყოფისათვის დათესილი გვაქვს ცილებით მდიდარი 17 ჰექტარი იონჯა. იგი ეძლევა დამატებით კომბინირებულ საკვებთან ერთად, რამაც ფრინველის ავადმყოფობითი დაავადება შეამცირა. წელს ბინები ისე მოვაწყეთ, რომ ყოველთვის გვეყოლება ფრინველის სარეპროდუქტორო ჯგუფები წუნდებული ფრინველის შესაცვლელად. ეს ხელს შეუწყობს კვერცხისა და ხორცის წარმოების მკვეთრად გადიდებას.

ჩვენი შინა მეურნეობა ისე ავაწყეთ, რომ მიმდინარე წელს გამოჩეკილ წიწილებიდან წელსვე მივიღოთ 15-20 ცალი კვერცხი თვითეულზე. არ გვეყოლება 1,5 წელზე უხნესი სადედე გუნდი. ფერმაში მიმდინარეობს ფრინველის ჯიშობრივი გაუმჯობესება. ფერმა ძირითადად დაკომპლექტებულია.

ინკუბატორში ჩასაწყობი კვერცხისათვის გამოყოფილი გვყავს ცალკე სადედე გუნდი, რომელსაც შექმნილი აქვს ყველა საჭირო ზოოვეტერინარული პირობა: ძლევა ცილებით და კროტინებით მდიდარი საკვები. კვერცხის ინკუბატორში ჩაწყობამდე ლაბორატორია ამოწმებს კროტინებზე. სრულფასოვანი კვერცხიდან გამოჩეკილი წიწილა კონდიციური და ჯანმრთელია. ასეთი წიწილებიც ვამზადებთ კოლმეურნეობათა მეფრინველეობის ფერმებს.

ამ წარმატებას ხელს უწყობს კარგად დაყენებული ვეტერინალური მუშაობა ვეტექიმის ძ. ალექსაშვილის ხელმძღვანელობით. პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სისტემატურად და დროულად განხორციელებით ლიკვიდირებულ იქნა ყოველგვარი ინფექციური და ინვაზიური დაავადებანი. ამის შედეგად გაიზარდა დაყენებული წიწილების შენარჩუნების პროცენტი. მინიმუმამდე დავიდა მოზრდილი ფრინველის სიკვდილიანობა.

საინკუბატორო სადგურს კარგი კადრები ჰყავს. თავისი საქმის მცოდნე, გამოცდილი მუშაკები არიან უროსი ზოოტექნიკოსი ხ. მაღრაძე, ვეტექიმი მ. ალექსაშვილი; ბრიგადირები რ. ნაცვლიშვილი და გ. გოგიტაშვილი; საინკუბაციო საამქროს გამგე მ. ქარუმიძე; მუდმივი ოპერატორი ქ. გზირიშვილი; საკვები საამქროს გამგე ა. გურგენიძე, მეფრინველეები: თ. აზნაურაშვილი, ს. ლაფერაშვილი, მ. ელერდაშვილი და სხვები. მათ შექმნილი აქვთ ნორმალური პირობები მუშაობისათვის, ამიტომაც მიმდინარე წლის პირველი ნახევარი კარგი მაჩვენებლებით დამთავრეს, ყველა სახის ფრინველი ჰყავთ 52.700 ფრთა ნაცვლად 38.700 ფრთისა. მათ შორის კვერცხმდებელია 17.200 ნაცვლად 16.900-ისა.

რა მდგომარეობაა ამჟამად? ინკუბატორში ჩაწყობილია 330.000 კვერცხი. გამოჩეკის მაჩვენებელი 80 პროცენტია ნაცვლად 79-ისა. კოლმეურნეობებზე გაცემულია 125.000 ფრთა წიწილა. მეურნეობაში გამოცდაზე დაყენებულია 52 ათასი ფრთა წიწილა. აქედან ორი თვის ასაკამდე შენარჩუნებულია 92 პროცენტი.



აღსანიშნავია, რომ ჩვენი კვერცხმდებელი ფრინველიდან მიღებულია 1.266 ათასი ცალი კვერცხი. სახელმწიფოს ჩაბარდა 1.130 ათასი ცალი. წლიური გეგმა 1 ავგისტომდე შესრულდა სახელმწიფოს ჩაბარდა 126,7 ცენტნერი ხორცი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 100 ცენტნერისა.

კარგი შედეგებია მიღებული პროდუქტების წარმოების თვითღირებულების შემცირების საქმეში. ამის შედეგად მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მოგება 41.700 მანეთს შეადგენს ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 31.700 მანეთისა, შემცირებულია აგრეთვე საკვები ერთეულების დანახარჯები. კალორიამი ხორცის წონა-მატებასა და 10 ცალი კვერცხის წარმოებაზე.

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად 6 თვეში ნაკისრი ვალდებულებები საგარეჯოს მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურმა გადაჭარბებით შეასრულა. საგარეჯოელთა მტკიცე გადწყვეტილებაა წელს გეგმის ზეგით მიაყიდონ სახელმწიფოს ნახევარი მილიონი ცალი კვერცხი და 200 ცენტნერი ხორცი.

— ახალი წარმატებებით შეგხვდეთ საიუბილეო თარიღს! — ამ დღეებით შრომობს ახლა ჩვენი საინკუბატორო სადგურის კოლექტივი.

**თ. ქვლივიძე,**

**საგარეჯოს მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურის დირექტორი, დამსახურებული ზოოტექნიკოსი.**

• • •

სურათზე: მოზრდილი ფრინველის საამქრო. ბრიგადირი გ. გოგიტაშვილი (შუაში), მეფრინველეები თ. დიმიტროვი და ლ. სალაბიევა ამოწმებენ ფრინველის გაზრდის მიმდინარეობას.

# ბარიერები გზის მშენებლობაზე

ადგილობრივ ხელმძღვანელებს, ეკონომიკურ ორგანოებს, ეკონომისტებს, ფინანსისტებს, ბანკირებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს, ინჟინერ-ეკონომისტებს, ინჟინერ-ფინანსისტებს, ინჟინერ-

# ᲡᲐᲥᲗᲐᲕᲠᲝᲚᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

## ᲛᲝᲜᲦᲚᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

**ᲣᲚᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲠᲘ, 10 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ.** (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). 9 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲞᲔᲙᲘᲜᲨᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲖᲘᲖᲦᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲝᲛᲘᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ, ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲐᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ. ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔ 12 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲩᲘᲜᲔᲚ ᲮᲣᲜᲯᲘᲒᲔᲑᲘᲜᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲜᲔᲡ ᲛᲝᲜᲦᲚᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲡᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲨᲘ. ᲒᲐᲓᲐᲐᲑᲠᲣᲜᲐ ᲓᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲗ ᲬᲐᲣᲧᲝᲜᲔᲗ. ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲫᲔᲚᲚᲘ — ᲛᲝᲜᲦᲚᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲬᲘᲜᲐᲗᲐᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲝᲜᲦᲚᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲡᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲨᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ

# ჩვენს ეკონ-ეკონში

გვაგზავნიან „კომუნისტის“ და სკ-ის კორესპონდენტები

## „გაზაფხული“ ლენინის ქალაქში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად დევიზით „ოქტომბრის გზებზე“ ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის ქორეოგრაფიული ანსამბლი „გაზაფხული“ (ხელმძღვანელები: საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ე. ხიბაძე, ქორეოგრაფი ზ. ლაზიშვილი) ლენინგრადს ესტუმრა.

გზად ბავშვები ერთი დღით შეჩერდნენ მოსკოვში, დაათვალიერეს დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები.

ლენინის ქალაქში პიონერულმა ანსამბლმა კონცერტები გამართა ბავშვთა ტურისტულ სადგურში, კიროვის სახელობის კულტურის სახლის ღია ესტრადაზე, ლენინგრადის მშვიდობისა და მეგობრობის სასახლეში, ნევის ნავსადგურში. კონცერტებს ტურისტული საგზურებით ჩამოსული ათასობით ნორჩი დაესწრო.

ნორჩ მაყურებლებს მოეწონათ ცეკვები „ქართული“, „განდაგან“, „ხორუმი“, „მთიულური“, 5 წლის ჭემალ ჩაუშბას მიერ შესრულებული სიმღერები.

ლენინგრადის უდანოვის სახელობის პიონერთა სასახლემ ანსამბლი „გაზაფხული“ საპატიო სიგელით დაჯილდოვა, ხოლო ნორჩ მოცეკვავეებს სამკერდე ნიშნები უსახსოვრა.

თავისუფალ დროს ბავშვებმა დაათვალიერეს ლენინური ადგილები, ნახეს სახელმწიფო ერმიტაჟი, კრეისერი, „ავრორა“, სმოლნი, ბევრი ისტორიული ძეგლი.

**შ. მახარაძე,**
ბათუმის პიონერთა პარკის დირექტორის მოადგილე.

## ანგოლელი ჭაბუკი ლაითურში

**მახარაძე.** (საკ. კორ.). ამას წინათ ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ჩამოვიდა ანგოლელი ზანგი დავით პიედრო გომესი. იგი სწავლობს ბრიანსკის ოლქის კოკიანოს მეურნეობა-ტექნიკუმში. პიედრო გომესი ლაითურში გამოგზავნეს საწარმოო პრაქტიკაზე.

ახალგაზრდა ანგოლელი გულდასმით ეცნობა მეურნეობის ცხოვრებას, მის ეკონომიკას, სწავლობს საბუხჰალტრო აღრიცხვას, დაგეგმვას. დადის აგროგანყოფილებებში მოწინავე აგროტექნიკის შესასწავლად.

## ნაირ-ნაირი

◆ **ორჯონიკიძე.** (საკ. კორ.). მრავალ ღონისძიებას უძღვნის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს ბორითის სასოფლო კლუბი და ბიბლიოთეკა (გამგე ნ. გორგაძე, ბიბლიოთეკარი ვ. ტაბატაძე).

კლუბის აგიტმბალტვრული ბრიგადა და ბიბლიოთეკის აქტივი ახლახან ესტუმრნენ საზაფხულო სამოყვრებზე ბორითელ მეცხოველეებს და მათ თავიანთი შემოქმედება უჩვენეს.

**ყვარელი.** (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნეს ყვარლის ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის (დირექტორი ი. ბერომელი) მუშაკებმა ახალი სტაციონარული გამოფენები „ილია და თანამედროვეობა“ და „ჩვენებურები“.

## ცისფერი ეკრანი მთებში

ოქტომბრის ზეიმის დღეებში ყაზბეგის მთებში ჯიოფდება ასობით ცისფერი ეკრანი — ამ ღონისძიებას დიდი ხიხარულით შეხვდნენ ხევის მშრომელები ყველას სურს თავისი შრომითი წვლილი შეიტანოს საშვილიშვილო საქმეში. ამ მიზნით რაიონში ხშირად ეწყობა შაბათობები. ამას წინათ დიდი შაბათობა მოეწყო სოფლების აზოსტისა და სნოს გზაჯვარედინზე, სადაც აშენდება ტელევიზიის სარეტრანსლაციო სადგური. (საკ. კორ.).

## საინტერესო ლექცია

**ახალციხე.** ამ დღეებში მოეწყო ახალთოფლის მედიცინის მუშაკთა სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა. ლექცია თემაზე: „ასტრონომიული მეცნიერების მიღწევები საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ“ წაიკითხა ახალთოფლის ასტრონომიული ობსერვატორიის დირექტორმა აკადემიკოსმა ე. ხარაძემ.

**კ. წერეთელი.**

**საამხარი ჩაის პლანტაციაში.** ფოტო **გ. გოგობიანი.**

## ბატჩი მოსკოვში

**საკავშირო** ჩემპიონატის შეოცე ტური მოსკოვის დინამოელებმა გახსნეს. ლიდერის გამოსელა ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ამიტომ გუშინდელ მატჩსაც „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ კოლექტივებს შორის დიდძალი მაყურებელი ჰყავდა. გაიმარჯვეს დინამოელებმა 3:2.

## ლუნლიორთა შეხვედრები

**გუშინ** ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში შედგა თბილისისა და მინსკის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს თბილისელებმა. ბურთები მინსკელთა კარში გაიტანეს ბახტაძემ და მიქაშავიძემ.

თბილისელები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, კანთელიძე, ბროწინა, ჯოხონელიძე, შერგელაშვილი (ბერძენიშვილი), მაჩაიძე, ქორიძე, გიორგაძე, ბახტაძე (ჯეიშვილი), მიქაშავიძე.

გუშინ ქუთაისში მატჩი ჰქონდათ ადგილობრივ „ტორპედოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ დუბლიორებს. გაიმარჯვეს ქუთაისელებმა 1:0. გოლის ავტორი იყო ჰოლაძე.

„ტორპედოს“ შემადგენლობაში იყვნენ: ანდღულაძე, სპკანდელიძე, ჩხაიძე, აბზიანიძე, ფაშაურიძე, ჭოლაძე, ოქროკიტრიშვილი, ნაპყვბია, მუშკუდიანი, ლ. ნოდია, სალიცკი.

## დღეს სტადიონებზე

11 **აგვისტო** დიდი ფეხბურთის დღეა. სპორტის მოყვარულებს საშუალება ექნებათ იხილონ უმაღლესი ლიგის გუნდების 8 მატჩი, რომელთა შედეგები თვალსაჩინო ცვლილებებს მეიტანენ სატურნირო ცხრილში.

ყურადღების ცენტრში დგას თბილისის დინამოელთა და მინსკელ თანაკლუბელთა შეხვედრა ჩვენს სტადიონზე. ამ პაექრობას მეტოქეთათვის, პირველ რიგში თბილისელთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ახლა ქულის დაკარგვა ან წარმატებლობა ნიშნავს ლიდერთა ჯგუფში პოზიციის დაკარგვას. მოგეხსენებათ, დინეცკის „შახტიორს“ ამდენივე ქულა აქვს, რამდენიც თბილისელებს, ხოლო მოსკოვის „სპარტაკი“, რომელიც ალმავლობას განიცდის. ამ დუელს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ პირველ წრეში მინსკის დინამოელებმა საკუთარ მოედანზე დამარცხება განიცადეს 2:4 და დღევანდელი მატჩი მათთვის სარევანშოა. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ თამაში მეტად პრინციპული იქნება.

ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელი— ქუთაისის „ტორპედო“ მორიგი ტურის მატჩს საკუთარ მოედანზე გამართავს. მისი მოწინააღმდეგი იქნება წლევანდელი პირველობის აუტსაიდერი — ლენინგრადის „ზენიტი“. იმ ხუთ მოგებაში. რომელიც „ზენიტმა“ პირველ წრეში მოიპოვა, შედის გამარჯვება ქუთაისის „ტორპედოსთან“ 1:0. ამ ეტაპზე როგორც „ზენიტის“, ისე ქუთაისის „ტორპედოს“ სატურნირო მდგომარეობა არასახარბიელოა. ამიტომ გამარჯვების ორ ქულას მეტოქეთათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთ ვითარებაში მოსალოდნელია დაძაბული ბრძოლა.

რა თქმა უნდა, შეუპოვარ ბრძოლას უნდა მოველოდეთ მოსკოვის „ტორპედოსა“ და „სპარტაკის“ მატჩში. ლუგანსკის „ზარია“ საკუთარ მოედანზე შეხვდება არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის ფეხბურთელებს. დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდს მეტად პასუხსაგები შეხვედრა ექნება სსრ კავშირის ჩემპიონთან კიევის „დინამოსთან“. ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი— დონეცკის „შახტიორი“ ოდესაში ითამაშებს ადგილობრივ „ჩერნომორეცთან“, ტაშკენტის „პახტაკორი“ საკუთარ მოედანზე მატჩს გამართავს ბაქოს „ნეფტჩანიკთან“, ალმა-ატის „კაირატი“ — ერევნის „არარატთან“.

## „ბ“ კლასის მეოთხე ზონაში

**ბაიმართა** „ბ“ კლასის მეოთხე ზონის ფეხბურთელთა კოლექტივების საკავშირო ტურნირის მორიგი შეხვედრები. გაცნობებთ ამ ასპარეზობებში ჩვენი რესპუბლიკის გუნდების შედეგებს:

„ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 4:1, „მაშინოსტრო